№ 256

კვირა, 26 ნოემბერი 1895

1877—1895

# ივერია

**ბაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

№ 256

კვირა, 26 ნოემბერი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვი გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი№ 227

**თეიმურაზ კაპანაძე** და **შვილნი მისნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა თვისისა, ხოლო უკანასკნელნი დედისა თვისისა **ბარბარე კაპანაძისას** და სთხოვენ მობრძანდნენ ქ. გორში განსვენებულის დასაფლავებაზე დასასწრებლად. წირვა და პანაშვიდი გარდახდილი ქმნება გორის საკრებულო ტაძარში. (1—2045—1).

ტფილისის საკრებულო დარბაზში ორშაბათს, 27 ნოემბერს, მომავალ ქართულ საქალებო სკოლის სასარგებლოდ გამართულ იქნება

**კონცერტი**,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: გამოჩენილი ვიოლონჩელისტი **პორტენი**, ქბ-ბ. სოკოლოვსკისა, უნთილოვისა, კარგარეთელი, კ. მესხი და სხვანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთების ყიდვა შეიძლება „ნოვ. ობოზრ."-ს კონტორაში და „ტფილისის საკრებულოს" შვეიცართან. (3—6—2).

ქართული თეატრი.

პირველი გასტროლი

**ეფ. მესხისა.**

კვირას, 26 ნოემბერს, 1895 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების" დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ ე. მესხისა, მ. საფაროვისა; ბბ. კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით

პირველად ახალი პიესა

I

**კომლი უკეცხლოდ**

თხზ.

დრამატიული სურათი 1 მოქმედ. თხზ. უგანათლ. თავ. გ. შარვაშიძისა.

II

**ალლუმი**

კომედია 4 მოქმ. გადმოკ. ვ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: ეფ. მესხისა, საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, გურგენიძისა და სხვა. ბ-ნნი ყიფიანი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, მჭედლიშვილი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ახლო მომავალში იქნება ბენეფისი **კ. მესხისა.**

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ამითი ცხადდება, რომ **წესდება კახეთის მევენახეთა საზოგადოებისა** სახელწოდებით „**კახეთი**", ჯეროვანის მთავრობის-მიერ დამტკიცებულ იქმნა 14 აგვისტოს ამა 1895 წ. და დადგენილის წესით კიდეც გამოცხადდა საჯაროდ. აღნიშნულ საზოგადოების წევრნი დამაარსებელნი და აგრეთვე კახეთის სხვა მევენახენიც მოწვეულ არიან 1895 წლ. 10 დეკემბერისათვის საღამოს 8 საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, რათა ხსენებული წესდება მოქმედებაში შევიდეს და საქმის ორგანიზაციაც დაწყებულ იქმნას. (3—6—1).

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჭიჭინაძისა** და **ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9— საღამოს 4—7 საათამდე.

**ვკისრულობ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოჰკმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ტფილისი, 26 ნოემბერი.

—

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქალაქში გახშირებული მითქმა-მოთქმაა, რომ ტფილისში შემოღებულ იქმნას ელექტრონით განათება. რა თქმა უნდა, ეს აზრი ყველას მოსწონს და ამ მოწონებაზე შორს არ არის თვით ტფილისის საბჭოცა, რომელსაც ამ საგანზე ლაპარაკიც ჰქონდა 18-ს ნოემბერს. ეს ისეთი საქმეა, რომ წინადაც დაეწყოთ ლაპარაკი ამაზე და რაიმე გამორკვეულ აზრზე დამდგარიყვნენ არ იქნებოდა მეტი. რუსები იტყვიან: ისევ გვიან სჯობიან, ვიდრე სულ არაო. ისიც კარგია, რომ ამ საგანს ეხლა მაინც მიაქციეს ყურადღება და თუ ამას საკმარისი გულმოდგინებაც ზედ დაატანეს, შესაძლოა გამოვიდეს რამე სახეიროდ ჩვენის თავ-მინებებულ დედა ქალაქისად.

ხსენებულ მითქმა-მოთქმისაგან სჩანს, რომ სურვილი აღძრულია, აქა-იქ ამისათვის ფიქრიც მოქმედობს, ჰზრუნავენ და ირჯებიან და თუმცა ყოველივე ეს ჯერ მიმალულ-მიფარებულია ოთხ-კედელშუა, მაგრამ ზოგიერთი ხმა მაინც გარედ გამოდის და მეტი არ იქნება ამ ხმებს ყური ვათხოვოთ. მაგალითებრ, ამბობენ, რომ ჩვენის საბჭოს მოხელენი ამ საგანის თაობაზე უკვე მიწერ-მოწერაში არიანო და მოლაპარაკება გაუმართავთო. რა თქმა უნდა, ამისთანა დიდ საქმეში, როგორიც არის ელექტრონით განათება ტფილისისა, არამც თუ მეტია, ფრიად საჭიროა წინადვე გამოლაპარაკება მცოდნე კაცებთან, საჭიროა სხვისის გამოცდილების შედეგი ვიცოდეთ ამ საქმეში, შეტყობილ გვქონდეს, სად და როგორ მოუხერხებიათ ასეთი საქმე, სად და როგორ დასჯდომიათ, რა გასულა, რა შემოსულა, რის იმედი უნდა იქონიოს ქალაქმა და რის არა და მებრვე სხვა.

ვიმეორებთ, ყოველივე ამის ცოდნა და შეტყობა ერთს იმისთანა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, ურომლისოდაც გაგნება გზისა ამ საქმეში შეუძლებელია და მეტის-მეტად საშიშია, იმ მხრით, რომ უგზო უკვლოდ სიარულმა დიდი რამ შეცდომა არ მოგვახდენინოს და საქმე ისე არ დაგვაჭერინოს, რომ ბოლოს ვინანოთ, სახელდობრ, მაშინ, როცა გასწორება წანახედისა ძნელი-ღა იქნება. რომ ეს ასე არ მოხდეს და საჭირო ცნობანი მართლა იმ კაცთაგან მივიღოთ, რომელნიც ამისთანა საქმეში სარწმუნოდ დანახულნი და ცნობილნი არიან, არ იქნება მეტი შევიტყოთ, ვის უნდა გამოველაპარაკნეთ და სად უნდა ვეძებოთ ამ საქმეში სარწმუნოდ გამოცდილნი კაც-

## ფელეტონი

**მეოთხე რეხა.**

(მგზავრის წერილები)

წერილი პირველი

მოგზაურთა განთიადი.

I

ზაფხულის მზის ცეცხლებრ სხივებმა ჩვენც გაგვითბეს გული და აღგვეძრა სურვილი მოგზაურობისა.

„ზამთარში ბარი, ზაფხულში მთაო." ამ ბუნებრივ კანონს სიამოვნებით დავემორჩილეთ და ბარიდამ მთისკენ გავწიეთ.—იმ მთისკენ, რომელიც წელიწადში ცხრა თვე სთვლემს, სამ თვეს სცოცხლობს.

ხალხის გმირი ქოროღლი უმღერს ამ თრიალეთის მთებს:

„...სამ თვეს პატარძლად მორთულნო,
მთანო ცხრა თვე დათოვლილნო..."

მგზავრობა ღამის სიგრილით ვარჩიეთ და უფრო-კი იმ აზრით, რომ დავესწრათ დიდებულ მოვლინებას—განთიადის ბნელთზე გამარჯვებისას.

მართლაც-და მთელს ჩვენს სიცოცხლეს ზოგნი ისე ვატარებთ და ისე ვესალმებით ამ წუთი სოფელს, რომ ძნელად თუ ვინმე—მეცნიერებზე არ მოგახსენებთ.

— განგებ დაჰკვირვებია განთიადის სანახაობას და მის დიად წეს-რიგს, თითქოს ბუნების შვილი არ ვიყოთ და მის ნაწილს არ შევადგენდეთ.

ამ შემთხვევაში მდაბიო ხალხი და მეტადრე მწყემსნი და გუთნის მეხრენი ჩვენზე ბევრად ბედნიერნი არიან.

რას ბრძანებთ! აბა მათ უკეთესს რას იგრძნობ კაცი, როცა სოფლად ხარ, მშობელ ბუნების მკერდს ეხუტები და მასთან ერთად ილვიძებ! ცის მნათობთა სიდიად-სიმშვენიერით, ზესთა-ზენამდე აღფრთოვანებული სული ჰხარობს, გული-გონება განათლდეიბა, გისპეტაკდება და ცოდვილი კაცი, ანგელოსად გარდიქმნები. ჰგრძნობ-რომ ცხოვრების ვარამით გაცვეთილი ძარღვები, ამომავალ მზის ცხოველ-მყოფელის სხივებით გეკურნება, გიხალისდება. — ყვავილოვან ბუნების ცქერით და სოფლურ სადა ცხოვრებით სასიამოვნოდ მოხიბლული გული მოსვენებას ეძლევა; უკვდავების ჰაერით თავისუფლად, ხარბად ჰსუნთქავ და ახლად შეკრებილ სიცხოველით გულის ძგერა, სიცოცხლის ხალისი გიძლიერდება!

—

ნაშუაღამევს, გაუთენებლივ შევსხედით ცხენებზე და გზას გავუდექით.

მოწმენდილი ცა მოკაშკაშე ვარსკვლავებით არის გაჩირაღდნებული. ახლად დაბადებული ღამის გუშაგი, თანამავალი დედამიწისა, არსად სჩანს —მისძინებია.

მდუმარე სოფელს კარგა რომ გავცილდით, მამლებმა შეჰქმნეს პირველი რიგის ყივილი. ამბობენ, კარგი მამალი ღამის პირველ საათს არ გადააცდენსო, მართლაც პირველის შესრულებას სამი წამი აკლდა.

ხალხში ჯერ აქამდე ის ამაოდმორწმუნეობაა გავრცელებული, რომ პირველ მამლის ყივილამდე მთელი ქვეყანა და ზესკნელი ათასნაირ მავნეთი და არა-წმიდა სულით არის სავსეო და რა წამს მამალი იყივლებს, ყველა წყეული ქვესკნელს მიდისო.

კიდეც ამიტომ ჩვენი მეჯინიბე ზაქარო განგებ აგვიანებდა ცხენებს, თანაც რაღაცას თავ-დაღუნული პირჯვრის წერით ბუტბუტებდა—თურმე ნუ ბრძანებთ იწყევლებოდა: „დასწყევლოს სამას სამოც-და-სამმა წმიდა გიორგიმაო". ახლა-კი, მამლის ყივილის უმალ ჩვენი ზაქარო გამხნევდა, გამხიარულდა, თითქოს წისქვილის ქვა ზურგს ეკიდა და უკუაგდოო.

ღამის პირველი საათია. ბრჭყვიალა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მკრთალ სინათლეს ჰფენს დუმილით მოცულ არე-მარეში, ცის კალთებზე ალაგალაგ გაფანტულან მძიმე ღრუბელნი, ხოლო გუმბათი ცისა საამოდ კრიალებს.

აგერ ჯგუფი შვიდის ვარსკვლავისა, ალიონი, ჩრდილო-კიდის ვარსკვლავი, ცის კალთაზე ჩრდილოეთით დაშვებულა, კალხზე სდგას თითქოს კუდზე დაბჯენილაო. ამ სამიოდ საათის წინად-კი, კუდ-აშვერილი ცის გუმბათზე იყო გამოჭიმული.

ახლა მივიხედოთ აღმოსავლეთისკენ. აგერ ხომლი (плеады) ჯგუფი ექვსის ვარსკლავისა თანავარსკლავედი კუროსი, ძლიერ მაღლა, ცის გუმბათის შუამდე, ამოსულა და ცოტა არ იყოს სამხრეთით გადახრილა.

გაზაფხულის პირზე, როცა საქონელი საძოვრად მინდვრად გაჰყავთ, ხალხი ძლიერ არიდებს ხომლის ამოსვლას—ხომლი დაჰკრამსო. ამიტომაც გამოცდილი მწყემსები ხომლის ამოსვლის წინად სადმე ღელეში ჩარეკენ ცხვარს, რომ გორას მოაფარონ, ხომლს მოარიდონ.

ხომლის დაკრული ცხვარი ჯანზე ველარ მოდისო, ჯან დაკდება და მატყლიც ცუდი აქვსო. როცა მატყლს ვაჭარი იწუნებს, ამბობს: „ხომლის ნაკრავიაო".—

ხომლის ნაკრავ ცხენსაც ბუგრი ეხვევა და ცხვირ-პირზედაც რაღაც ხაზები დააჩნდება ხოლმეო.

ავიხედოთ ცის გუმბათისკენ,—აგერ ხარის ნავალი და ირმის ნახტომი (млечный путь), წუხელ საათის ათზე ჩრდილო აღმოსავლეთით წამოსული, სამხრეთ-დასავლეთისკენ იყო გადაშვებული, ეხლა-კი მობრუნებულია, და ცის გუმბათს სარტყელივით გაჰკვრია, რომლის ერთი ბოლო აღმოსავალ სამხრეთისკენაა ჩაშვებული, მეორე ჩრდილო-სამხრეთისკენ.

შესახებ ამ ვარსკვლავთა ჯგუფისა, რომელიც, ვინ იცის რამდენ მილიონ წვრილმან ვარსკვლავთაგან შესდგება და რომელსაც მეცნიერნი რძის გზას უძახიან, ჩვენს ხალხში შემდეგი თქმულება სუფევს;

„ღმერთმა გადმოხედა და ბრძანა:
„ადამიანს საშინელი ჯაფა ადგია,
ამდენ გაჭირვებას ვერ აიტანსო."
მოუხმო ცხოველთ და უბრძანა:
„აბა ვის ძალგიძთ შრომის უღელი
გაუწიოთ გლეხკაცსაო. გადმოხტა წინ
ირემი და დაიქადნა: „მე მიკისრნია
კაცის შრომაო," დალოცეს და გამოისტუმრეს.—

ირემმა იხტუნა, იხტუნა და დედამიწამდე მანძილს ვერ უწია, შუა გზაზე გასქდა.

„ადამიანის შენახვა ვერავინ იდვა
თავზედა:
ხვნა, ფარცხვა, ზიდვა სარჩოსი გასჭირდა მეტად ძალზედა.
ხარმა სთქვა, პირმა ნათელმა, მე დავიწერავ თავზედა.
მოცვივდენ ანგელოსები, დაჰკოცნეს
ორთავ თვალზედა;
ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს
ორთავ რქაზედა:
— წადი ხარო, იმუშავე, ერთგულად
მთა და ბარზედა,
ექვსი დღე უღელში ებმი, მეშვიდეს
დაწექ მხარზედა;
ვინც კვირა-უქმით შეგაბას, ხელი
შეახმეს მკლავზედა".

ხარმა დინჯის ნაბიჯით გამოსწია

ნი.

ქალაქში ხმა დადის, ვითომ ქალაქის მოურავს ამ საგანზე ლაპარაკი, რასაკვირველია, მიწერ მოწერით, დაუწყვია ერთის ინჟენერის ფირმასთან ოდესსაში. მართალია ეს ამბავი თუ არა, არ ვიცით. ჩვენ-კი ამას ვიტყვით, რომ არ იქნება მეტი და სასურველია, რომ ამ ფირმამაც თავისი გვითხრას, თავისი აზრი გვაუწყოს. რაც ბევრი ცნობა გვექნება, მით უფრო კარგია. ხოლო ამას-კი ვიტყვით, რომ მეტის-მეტი წინდაუხედაობა იქნება მარტო ამ ფირმასთან გამოლაპარაკება ვიკმაროთ, მარტო ამას მივაყუდოთ ჩვენი ყავარჯენი.

ნუ დავივიწყებთ, რომ შვეიცარიის ქალაქს ჟენევაში უკვე მოქმედობს ელექტრონი იმისათვის, რისთვისაც ჩვენს ქალაქს ჰსურს მისი ძალი მოიხმაროს, ესე იგი, განათებისათვის. ჰკუიანმა ჟენეველებმა ამ განათების საქმეს ზედ-დაურთეს ერთი სხვა სასარგებლო საქმეცა, რომელიც თითქმის იმოდენა შემოსავალს აძლევს ქალაქს, რამოდენასაც ელექტრონით განათება. იქ ელექტრონით განათებას ამოქმედებს მდინარე რონი და ამ მდინარის ძალითვე ელექტრონი ამუშავებს სხვა-და-სხ. ქარხნებსა და ფაბრიკებში მანქანებს, სადაც-კი პატრონების სურვილით ელექტრონი გაყვანილია. ჩვენი ტფილისი, რომელსაც შიგ ჩამოუდის ამისთანა ძლიერი წყალი, როგორიც მტკვარია, ამ შემთხვევაში მეტად ხელ შეწყობილია და აქაც ეს ძლიერი ღონე მტკვარისა, როგორც ჟენევაში რონისა, დიდად უნდა აადვილებდეს როგორც განათების საქმეს ელექტრონით, აგრედვე მანქანების მოქმედებისას ელექტრონითვე. უეჭველია, ჩვენის მტკვრის წყალობით, ეს ორივ საქმე ერთად უნდა შეერთებულ იქმნას, როგორც ეს არის ჟენევაში დღეს და დიდს შემოსავალსაც აძლევს ქალაქსა.

ეს მხარე იმ საგნისა, რომლის გამოც ვლაპარაკობთ, მცოდნე კაცთა გამორკვევის საქმეა და თუ აქ ვ ხსენეთ, მარტო იმისთვის, რომ რადგანაც ჟენევაში ელექტრონით განათება და მანქანების მოქმედება უკვე გამართულია და რადგანაც ჩვენი მტკვარი აქ, როგორც იქ რონა, მეტის-მეტად ხელ-ჩასაკიდებელია და გამოსაყენებელი, ამიტომაც უფრო უპრიანეა საჭირო ცნობანი იქ ჟენევაში მოვიკითხოთ, იქაურ ინჟენერებს დავეკითხოთ და საქმე ისე დავიჭიროთ. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ შემთხვევაში ჟენევა და ტფილისი ერთსა და იმავე გარემოებაში არიან: აქაც მტკვარი იმ სამსახურს გაგვიწევს ამ საქმეში, როგორც იქ რონა. ოდესსიდამაც მოსული ცნობები, რასაკვირველია, ასე თუ ის გამოსადეგი იქნება ამ საქმეში. ხოლო ოდესსა უწყლო ქვეყანაა და წყლის ღონით გამართვა ელექტრონის განათებისა, არა გვგონია, იქ ისე ზედ-მიწევნით ნაცადი ჰქონდეთ და ზედ მიწევნით ნასწავლი, როგორც ჟენევაში, რომელსაც ეს საქმე დიდი ხანია ნაცადი და ნასწავლი აქვს. აი, სად უნდა ვეძებოთ სახელმძღვანელო ამ საქმეში, აი სად უნდა მოვიკითხოთ ყოველივე მისი ვითარება და საიდამ უნდა მოწვეულ იქმნან ინჟენერები, თუ საქმე აღსრულებამდე მივიდა.

ჩვენა გვგონია, რომ ამ გზით უფრო შეუცდომელად და წინ-დახედვით გავივლით და იქნება უფრო იეფადაც დაგვიჯდეს განზრახული საქმე ელექტრონით განათებისა.

# ახალი ამბავი

—

*** დღეს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება ახალი ერთ-მოქმედებიანი დრამატიული სურათი უგანათ. თავ. გ. შარვაშიძისა. ამ წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობას ახლად ჩამოსული საგასტროლოთ ქ-ბ. ეფ. მესხის ასული. დღესვე წარმოდგენილი იქნება ქ-ბ. საფაროვის მონაწილეობით მხიარული პიესა „ალლუმი“, ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული.

*** მოვაგონებთ ქართველ საზოგადოებას, რომ ხვალ, 27 ნოემბერს, ქართველ ქალების მომავალ სკოლის სასარგებლოდ, ტფილისის სა-კრებულო დარბაზში, გამართულ იქნება კონცერტი. კონცერტი იმედია კარგი იქნება, რადგანაც მონაწილეობას იღებს გამოჩენილი ვიოლონჩელისტი ბ. პორტენი და აგრეთვე ტფილისის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილნი ქ-ბ-ბ. სოკოლოვსკისა და უნთილოვისა, ბ-ბ. კარგარეთელი და კ. მესხი. მომავალმა ქალების სკოლამ იმდენი თანაგრძნობა და სიმპატია დაიმსახურა უკვე ქართველ საზოგადოებაში, მის დაარსებას ისე მოუთმენლად ელის ქართველობა, რომ უეჭველია ხვალინდელი კონცერტი დიდძალ საზოგადოებას მიიზიდავს „ტფილისის სობრანიეში“.

*** 23 ნოემბერს ტფილისში ჩამოვიდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა კავკასიის ცენზურის კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. ჰაკელი.

*** როგორც იუწყებიან, მოლითის სადგ., წიფასა, ვარვარინოსა და ხაშურს შუა უკვე დაუწყიათ მატარებლებს სიარული. 25 ნოემბრიდამ რკინის გზის მუშებს თურმე ზურგით გადააქვ-გადმოაქვთ კორესპონდენციები წიფასა, ყვირილასა და ქუთაისს შუა, სადაც ძალიან არის დაზიანებული გზა და ჯერ აგრე მალე ვერ დაიწყებენ მატარებლები სიარულს.

23 ნოემბერს მუხიანას სადგურზე საშინელი ქარი ამოვარდნილა; ქარს საფარნე ბოძიდამ მეისრე მელქაძე გადმოუგდია, რომელსაც მარჯვენა ხელი თურმე მოსტყდა. დაშავებული სამტრედიაში გაუგზავნიათ.

*** საექიმო განყოფილების მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ ტფილისში 8 ნოემბრიდამ თექვსმეტამდე დიფტერიტით ავად გამხდარა ოთხი კაცი და ყვავილითაც ოთხი.

*** კავკასიის სტიპენდიატებად ჩარიცხული იქმნენ კიდევ შემდეგი სტუდენტები: ოდესის უნივერსიტეტისა—იოსებ ჩსიდოვი და პართენ გოთუა, ხარკოვისა—ივ. ბაბიჩევი, მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტისა—მიხეილ ზაალოვი და მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტისა—პაიჭაძე, („კავკაზ“.).

*** გუშინ, 24 ნოემბერს, საოპერეტო დასმა ქ-ნ'ა. ა. დობროტინის საბენეფისოდ წარმოადგინა გრიზარის ოთხ-მოქმედებიანი ოპერა ბუფი „ჯოჯოხეთური სიყვარული“. ამ ოპერას ბუფს ისეთი მშვენიერი მუსიკა და მოტივები აქვს, რომ მარტო მუსიკის მოსმენაც-კი სიამოვნებას მოჰგვრიდა იქ დამსწრეს. ამას გარდა მშვენიერნი იყვნენ თვით აღმსრულებლებიც, განსაკუთრებით-კი მობენეფისე ქ-ნი ა. დობროტინი, რომელიც ურიელის როლს ასრულებდა და ზოგიერთი საგალობლები საუცხოვოდ იგალობა, ქ-ნი რატმიროვის და ბ-ნი ვილინსკი, გრაფის როლის აღმასრულებელი. ოპერეტს ბენეფისის კვალობაზე ხალხი ნაკლებად დაესწრო. დამსწრე საზოგადოება მობენეფისეს დიდის აღტაცებით დაუხვდა და ძვირფასი საჩუქრები მიართვა.

*** განუწყვეტელ წვიმებს გვარიანად დაუზიანებია სიღნაღისა და თელავის გზა-ტკეცილიც.

*** რედაქციამ მიიღო მერვე ნაწილი „ვიქტორ ჰუგოს ლექსთა კრებისა“ რუსის პოეტების მიერ ნათარგმნი, გამოცემული ი. ფ. ტხორჟევსკის რედაქციით. შემდეგი ნაწილი გამოვა 15 დეკემბერს. ლექსთა კრება სულ 15 ნაწილიდამ შესდგება.

*** „ნოვ. ვრ.“ ამბობს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს თვით მევენახეებსაც დააკისროს გარდახდა იმ ხარჯის რამოდენიმე ნაწილისა, რომელიც ფილოქსერასთან ბრძოლის ხმარდებაო.

*** ჩვენ მოგვივიდა წერილი, რომ წმიდა ათონის მთის ქართველთა წმიდა იოანე ღვთის-მეტყველისა და მახარობლის ახალ-ივერიის სავანის ძმობას გადაუხდია პანაშვიდი მეფის ერეკლე მეორის და მართლ-მადიდებელთ მეომართა სულის მოსახსენებლად, რომელთაც სარწმუნოებასა და სამშობლოს შესწირეს თავი კრწანისის ბრძოლის ველზედ, ასის წლის წინად.

ვევედრებით უფალსო, იწერებიან ძმანი და ჩვენ ქართველთა მეოხს და მფარველს ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს, რათა მეოხებითა თვისითა ქრისტეს წინაშე განუსვენოს მათ სასუფეველსა ცათა შინაო.

*** ჩვენ უკვე ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ტფილისის ახლო, სოფელ ოქროყანაში, გამართულ იქმნა კავკასიის ზნეობის გამასწორებელი სამიწათ-მომქმედო სახელოსნო ...ლშენი, რომელშიაც გაიგზავნე...ნ ამიერიდამ მცირე-წლოვანი და...მავენი, რათა საპატიმროში აღარ ...ენ იგინი დამწყვდეულნი, სადაც

და მშვიდობიანად ჩამოვიდა ქვეყნად. მას აქეთ ერგული მეუღლე გაუხდა შრომის შვილს გლეხკაცსა“.

აი, ი ალაგ-ალაგ რო ატყვია, ეგ ირმის ნახტომია და თეთრად რო დიდი ზოლი მისდევს, ეგ ხარის ნავალი გზა არისო.

II

ნაშუადღევის მეორე საათი დაიწყო. ჩვენმა ცხენებმა, ღამის სიგრილით წახალისებულთ, სიარულს მოუმატეს. მაგრამ ჩვენ არ ვჩქარობდით—გზა ვილას ახლოვდა.

აგერ შორით შავად მოჩანს ირგვლივ გაბმული უზარ-მაზარი მთების აჩრდილი. მთათა სერ-ქედის ოღროჩოღრო მუხლები, ვარსკვლავთა მკრთალ შუქზე ბუნდოვან სივრცეში იხატებიან—ზღვარს ავლებენ.

მდინარეთა შხივილი მოგვესმა—ნიავმა მოგვიტანა. კანტი-კუნტად ძაღლების ზარმაცი ყეფაც ისმის.

ჩვენი ყურადღება მთლად აღმოსავლეთმა მიიქცია—განთიადს ველით, ანუ უკეთა ვსთქვათ, ჩვენ გვსურს დავესწრათ იმ დიდებულ წუთს, როდესაც დედამიწა ამ ბნელეთის სივრცეს გაივლის, შემოგვატრიალებს და ისევ მზეს მოგვიცხუნებს.

აგერ ერთი „ვარსკვლავი“, თითქოს ცას მოსწყდაო, ჩამოვარდა, ისარივით წავიდა და ჰაერშივე ცეცხლის ფრად გაწყალდა.

— კიდევ ერთი კაცი მოკვდაო, წაიდუდუნა ჩვენმა ზაქარომ...

აღმოსავლეთით, აბულის მთის იქიდგან ნაკვერჩხალივით ბრჭყვიალა, მშვენიერი ვარსკვლავი ამოციმციმდა და მაღლა-მაღლა გასწია. სიდიდით ყველა ვარსკვლავს სჯაბნობს, ხან ბნდება, ხან ძალზედ ღადღადებს—ყვითლად, ლურჯად ენთება.

ამ ვარსკვლავს რომ შევხაროდით, იშვიათი რამ სანახავი ვნახეთ. სამხრეთი უეცრად აენთო, სხივნი მოჰფინა და მსწრაფლვე ჩაქრა. მოულოდნელმა სანახაობამ ყველანი გაგვაოცა და მეტად მშვენიერმა სურათმა საამოდ აღგვიტაცა.

ამგვარ ფიზიკურ მოვლენას ციალი (зарница) ეწოდება. მაგრამ მეტად ძლიერი იყო და მისმა სხივებმა მეტად დიდი სივრცე მოჰფინა ბნელ სამეფოში. — ჩრდილოეთის ნათვას (сѣверное сіяніе) ემზგავსებოდა. ზაქარომ სთქვა: თევზმა შეითამაშა და იმან გაანათაო...

ხოლო ფიზიკიდამ ვიცით, რომ შორს, შორს სამხრეთით საცალაელვა-ქუხილი ყოფილა და იქაურმა ელვამ თავის შუქი შორს სივრცეში გასტყორცნა, სხივნი გაჰფანტა. ქუხილი-კი იმიტომ არ მოგვესმა, რომ 25 ვერსის სიშორეზე ქუხილის ხმა აღარ ისმის.

კიდევ ვარსკვლავი ჩამოვარდა, ჰაერის სივრცეში ცეცხლის ზოლი გაავლო და ჩაქრა. ხალხში ის ამაოდ მორწმუნოება არის გავრცელებული, რომ ყოველ ადამიანს თავის საკუთარი ბედის ვარსკვლავი ჰყავსო—რა აღმატებულ აზრისაა კაცი თავის-თავზე!—და როცა კაცი კვდება, მისი ვარსკვლავიც ჰქრებაო.

ჩემს ბაშვობაში მახსოვს, ზაქათალაში ერთ ზაფხულს, გარედ დერეფანში ძილს ვაპირებდით. ამ დროს „მოსწყდა“ ერთი „ვარსკვლავი“, ნაკვერჩხალივით წამოვიდა და ჩვენის მეზობლის ეზოში ჩავარდა. მეორე დღეს გავიგეთ, რომ იმ მეზობლის რძალს ვაჟიშვილი მისცემოდა! ვისაც გსურთ „ვარსკვლავთა“ ცვივნა ჰნახოთ და ამის სანახაობით გაერთოთ, შეხედეთ ცას უღრუბლო ღამეში мკათათვის 28, 29 და 30; ღვინობისთვის 31 და гიორგობისთვის 1 და 2 რიცხვებში. 15 წუთის განმავლობაში ოცამდე მეტი „ვარსკვლავი“ ჩამოცვივა.

შეიძლება ზოგს მკითხველს ეგონოს, რომ მართლაც და ვარსკვლავები ცვიოდეს ციდამ!

ეს, რასაკვირველია, დიდი შეცდომა იქნება, რადგან ცა მართლა ხომ ლაჟვარდი გუმბათი არ არის და მასზე ვარსკვლავები ჭრაქებივით ჩამოკიდულნი-კი არ არიან, ან დედამიწა ხომ ბოძებზე არ არის დამყარებული, რომ მთელ სოფლიოს საძირკვლად გაუხდეს!

საკმაოა ის გავიხსენოთ, რომ თვითეული ვარსკვლავი იგივე მზე არის და ზოგი ვარსკვლავი-კი მზეზედაც უდიდესია. ხოლო მზე ისეთი რამ უშველებელი ცეცხლის ბურთია, რომ ჩვენი დედამიწის ოდენა ერთ მილიონ ნახევარი გამოიჭრება. შეიძლება ასეც შევადაროთ: ცალ მხრივ დადეთ ერთი მარცვალი (ხორბალი) და მეორე მხრივ დააგროვეთ ერთი ტომარა პური (ხორბალი). ამ გვარ შედარებით აშკარად წარმოიდგენთ მზის სიდიდეს და სივრცეს დედამიწის წინაშე.

კაი ხეირიც დაეყრება ჩვენს დედამიწას, თუ ამოდენა ვარსკვლავი წამოვიდა და ზედ დაეცა!

თუ ვიკითხავთ: მაშ რად სჩანან ვარსკვლავები მაგრე პატარებათაო, მეცნიერება აი რა პასუხს მოგვცემს: მაგის მიზეზი ის არის, რომ როგორც მზე, აგრეთვე ვარსკვლავები ძლიერ დაშორებულნი არიან, ისე შორს არიან ჩვენზე, რომ ადამიანის გონებას ვერც-კი შეუძლიან წარმოიდგინოს. უკვე გამოანგარიშებულია, რომ ჩვენის დედამიწიდამ მზემდე 140 მილიონი ვერსია! რკინის გზა რომ იყოს მზემდე გამართული, რომელიც დღე და ღამ დაუყოვნებლივ მიგვაფრენდეს მზისკენ, მაშინ ჩვენი მგზავრობა სამასი წელიწადზე მეტს (330 წ.) გასტანს და თუ უკანვე დავბრუნდით, ექვსი საუკუნე მეტი მოვუნდებით. ესე იგი თამარ დედოფალს რომ რუსთაველი მზესთან გაეგზავნა მოსაკითხად, დღესაც გზაში იქნებოდა. ან იქნება თავის უკვდავ პოემის შვიდასი წლის იუბილეისთვის ხუთის წლის უკან მზის პასუხით ჩამოგვისწროს!...

ის, რაც ციდან ჩამოვარდება ხოლმე, რომელიც ჩვენ ვარსკვლავი გვგონია, შეგიძლიანთ თქვენის თვალით ჰნახოთ ზოგიერთ მუზეუმებში — მგონი ტფილისის მუზეუმშიაც უნდა მოიპოვებოდეს—ზოგი ქვის ნატეხს წარმოადგენს, ზოგიც ნამდვილს რკინის ნატეხსა, ასე რომ შეგიძლიანთ მჭედელს მისცეთ და დანა გააკეთებინოთ. ეს ნატეხები არიან რომელიმე ვარსკვლავის ანაგლეჯის ნამსხვრევნი, რომელნიც პლანეტთა შორის, ცალიერს სივრცეში ტრიალებენ, სრიალებენ. როგორც ძერას დაედევნებიან ხოლმე პატარა ჩიტები, ისე ეს ვარსკვლავთა ნამტვრევები დაედევნებიან ხოლმე დედამიწას ტრიალის დროს. ზოგჯერაც ეს ნამტვრევები ისეთის საშინელის სიჩქარით და ძალით წამოვლენ ხოლმე დედამიწისკენ, რომ მეტის-მეტის გლესით ჰაერში ენთებიან, იწვიან, ცეცხლის ზოლს ავლებენ და ჰაერშივე იბნევიან. ზოგი-კი ისეთი დიდი ნატეხია, რომ ნაკვერჩხალივით გახურებული მიწამდე უწევს ხოლმე.

ყოფილა არა ერთი მაგალითიც, რომ ციდამ ჩამოვარდნილა უშველებელი ნატეხი, ვეებერთელა კლდე ათასას ფუთის წონისა.

კაი ხეირს-კი შეეყრება, ვისმეს

ზნეობა წამხდარ და სიმართლის გზას უკვე სრულიად გადამცდარ დამნაშავეებთან არ გაირყვნან. ამ ნოემბრის პირველს რიცხვებში კავკასიის ზნეობის გამასწორებელ სამიწათ მოქმედო-სახელოსნო საზოგადოების მმართველობამ, რომლის თავმჯდომარედაც ბ-ნი ფ. ა. ბიკოვია, უკვე აუწყა ამიერ-კავკასიის ოლქის სასამართლოების თავმჯდომარეებს, რომ სოფელ ოქროყანაში, ტფილისს ახლოს, დაარსებულ იქმნა მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის თავ-შესაფარი, რათა ამიერიდგან იხელმძღვანელოთ ხოლმე მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ დასადგენ სასჯელთა წესდების მე-6 მუხ. და სასჯელთა დებულების მე-137 და 138 მუხ., ბ ესევე აცნობეთ თქვენს ქვემდებარე მომრიგებელ მოსამართლეებსაო. ამასთან ხსენებულ საზოგადოების მმართველობა აცნობებს ოლქის სასამართლოების თავმჯდომარეებს, რომ ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 1891 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებულ კავკასიის ხასიათის გამასწორებელ სამიწათ-მოქმედო-სახელოსნო ახალშენის წესდების მე-2 და 6 §§-ის ძალით ამ თავ-შესაფარში მიღებულნი იქმნებიან ყმაწვილები მამათა სქესისა, 10—16 წლისანი, ხოლო სასჯელის დამდგენელნი ჯერ უნდა შეეკითხნენ საზოგადოების მმართველობას არის თუ არა თავ-შესაფარში ადგილი მცირე-წლოვან დამნაშავესათვის და შემდეგ ისე მიუსაჯონ ეს სასჯელი და განაჩენის პირიც უნდა გაუგზავნონ ახალშენსაო.

*** კახეთიდამ (ზაქათალის მაზრა) გვწერენ, რომ დიდი ხანია, აგერ ერთი წელიწადია, რაც აქ საქალებო სკოლისათვის განიზრახეს ლატარია-ალეგრის გამართვა და ნივთები და ფულიც შეაგროვესო; მას აქეთია ველით ამ ლატარია-ალეგრსა და არ იქნა ამ კეთილად დაწყებულ საქმის ალსრულებას ვერ ვეღირსენითო. ამ საქმის გულ-შემატკივარნი თხოულობენ: ვინც ეს საქმე დაიწყეს თავ-და-პირველ, შეგვატყობინონ: აპირებენ ლატარია-ალეგრის გამართვას თუ არაო. თუ აპირებენ, გაგვაგებინონ საროდიოდ, თუ არ აპირებენ, ვიცოდეთ, აღარ ვწუხდეთ და ერთხელვე დავივიწყოთო.

*** „ნოვ. ვრემია“ იუწყება, რომ გაზეთების და სხვა წიგნების გამყიდველთ აეკრძალოთ გამვლელ-გამომვლელს ხმა-მაღლა სთხოვონ იყიდეთ გაზეთი, ან რაიმე სხვა წიგნი.

*** სამინისტროს მიწად-მოქმედებისას და სახელმწიფო ქონებისას განუზრახავს ყველა გუბერნიებში მაავროვის აგრონომები განაწესოს. ეხლახან ამისთანა აგრონომები ჩრდილო გუბერნიებში უკვე განუწესებიათ.

*** 1891 წელს ტფილისის ქალაქის საბჭოს დიდ ხანს ემუდარებოდა სამოც-და-ათის წლის მოხუცი ჩაჩიბაია პენსია დაენიშნათ ან ფულით დროებით დახმარება აღმოეჩინათ, მაგრამ ვეღარც ერთს ვეღარ ეღირსა და გარდაიცვალა. ამ ჟამად საბჭოს კარმიდამოს არ სცილდება ერთი ასეთივე ძველის ძველი მსახური ქალაქისა—ნიკოლოზ ალავერდოვი, თითქმის ოთხმოც-და-ათის წლის მოხუციო, სწერს გაზ. „ტიფლ. ლისტ.“-ი. ეს საბრალო რამდენიმე ათი წელიწადია დარაჯად მსახურობს ქალაქის მადათოვის კუნძულზე; იგი უკვე მთლად დაძაბუნებულია და უმწეო; ამიტომ მოხუცმა ქალაქის საბჭოს თურმე მიჰმართა თხოვნით 20 მანეთი მიეცათ მისთვის. თხოვნა მიიღეს და ჩვეულებრივი პასუხი მისცეს: „განვიხილავთ და რაც-კი შესაძლებელია, ვეცდებით აღგისრულოთო.“ აგერ თვე და თვეზე მეტი გადის, რაც ეს საწყალი მოხუცებული საბჭოს შესტრიალებს, მაგრამ ვერაფერს გახდა და სულ ერთი და იგივე პასუხი ესმის: „მოიცადე, ხვალ მოდიო“. ეჭვი არ არის ამ მოხუცსაც ის დღე მოელის, რაც ჩაჩიბაიას: ივლის იგი იმ დრომდე, ვიდრე სიკვდილი მოუსწრებს და შემდეგ საბჭოში ასე აჰხსნიან ამ გარემოებას, რომ იგი პენსიას თხოულობდა და მისი თხოვნის განხილვის ჯერიკი ჯერ არ მოსულიყოო და სხვანი. მთლად-კი ეს უყურადღებობა იმისი ბრალია, რომ საბჭოს წევრი, რომელსაც მინდობილი აქვს რამდენიმე სიტყვით მოხსენების წარდგენა თხოვნაზე, ტყულა უბრალოდ ატარებს დროს ერთის განყოფილებიდამ მეორეში სიარულით, მაშინ როდესაც მთხოვნელები მთელის კვირაობით და უფრო მეტს უცდიან პასუხსაო, ამბობს ხსენებული გაზეთი.

## საქართველოს თავადნი.

ამას წინად, და სახელდობრ 1892 წელსა, სენატის გეროლდიის დეპარტამენტმა დაბეჭდა ერთი წიგნი, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: «Списки Титулованнымъ родамъ и лицамъ Россiйской Имперiи“. ამ წიგნში მოხსენებულია მოკლედ რომელს გვარეულობას და რომელს პირს რა საბუთით მიუღია თავადობა და როდის დამტკიცებულა მთავრობისაგან. წიგნში მოხსენებულნი არიან საქართველოს თავადნიცა. ვგონებთ მეტად ღირს-საცნობი იყოს ყველა გვარეულობისათვის ჩვენში, რა საბუთით და როდის დაუმტკიცებიათ მათთვის თავადობა.

თავადნი აბაშიძენი. იმერეთის მეფის მამუკას გუჯარში 16 ივნისისა 1764 წლისა ზურაბ აბაშიძე და ძენი მისნი: ზაალ, ვახუშტი და გიორგი თავადად არიან ხსენებულნი.

თავად აბაშიძეთა გვარეულობა მოხსენებულია ქართლის თავადთა სიაში იმ ტრაქტატთან ზედ-დართულში, რომელიც ხელ-შეკრულ იქმნა 24 ივლისს 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან მეფე ერეკლე II-ის მიერ.

სახელმწიფოს საბჭოს განაჩენით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია 20 სეკტემბერს 1825 წ., აბაშიძენი თავადად დამტკიცებულ არიან და აღნიშნულნი V გვარეულობათა წიგნში ამ სახელებით: დავით ივანეს ძე, ზაალი, ნიკოლოზი და ევგენი სვიმონის ძენი აბაშიძენი.

6-ს დეკემბერს 1850 წ., უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა საოჯახო სიები საქართველო-იმერეთის თავადთა და ამ სიაში დასახელებულ არიან თვითეულნი ოჯახნი ცალკე თავად აბაშიძეების გვარეულობისა.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 1850 წელს 1-ლ თებერვალს, 1851 წელს 5 ნოემბერს, 1852 წელს 12 მაისს, 1859 წლის 5 აგვისტოს, 1860 წლის 21 დეკემბერსა და 1868 წლის 13 მარტს, ამ გვარს შეუერთეს: 1) ალექსანდრე ზაალის ძე; 2) დავით და ილია ზურაბის ძენი; 3) გრიგოლ ნიკოლოზის ძე; 4) ლევან და ივანე გიორგის ძენი; 5) ლევან დიმიტრის ძე აბაშიძე.

თავადი აბაშიძე-გორლენკო. უმაღლესის ბრძანებით 29 ივლისისა 1876 წლისა, შტაბს-როტმისტრს თავადს სვიმონ ქაიხოსროს ძე აბაშიძეს ნება დაერთო თავისის საგვარეულო გერბისათვის თავისის სიმამრის მაიორის სემენ დავითის ძის გორლენკოს გერბი და გვარი მიემატებინა და შემდგომში თავად აბაშიძე-გორლენკოდ წოდებულიყო, ხოლო იმ პირობით, რომ ეს შეერთებული გვარი მარტო გვარეულობის უფროსს ჩამომავალს ეტარებინა.

## საერო მუზეუმის სახლის შესახებ.

„კვალის“ 47 №-ში პატივცემულმა ა. ხახანაშვილმა წარმოსთქვა აზრი საერო სახლის, მუზეუმის შესახებ. ეს დიდად საყურადღებო და შესანიშნავი აზრია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და დაუფიქრდება ამ დაგვიანებულს, მაგრამ დიდად სასურველს საქმეს. რუსეთის იმპერიაში თითქმის არც ერთი ერი არ მოიპოვება, რომ საკუთარი ეროვნული სახლი, ანუ მუზეუმი არ ჰქონდეს. ფინლანდიელებს, მცირე რუსებს, პოლონელთ და ყაზანელ თათრებსაც-კი აქვთ საკუთარი საერო მუზეუმი.

ჩვენ-კი, რომელთაც უპირატესობა გვაქვს წარსულის დიდებითა, ხელოვნებითა, მწიგნობრობითა, მხატვრობით, აზრადაც არ მოგვდის დავაარსოთ ამგვარი ეროვნული სახლი, რათა დაინახოს ჩვენმა მომავალმა თაობამ თავისი წარსული, თავისი დიდება.

რა არის მუზეუმი?—მუზეუმი არის იმგვარი სარკე, რომელშიაც ჩაიხედავ, მერე მოშორდები და შენი სახე და საქმე-კი შიგ დარჩება. გადის რამდენიმე ათასი წელიწადი და შენი მომავალი თაობა თვალით ჰხედავს, თუ რა სახისანი ყოფილან მათი წინაპარნი და რა შესძლებიათ და რა უმოქმედნიათ.

მუზეუმი იგივე უმაღლესი სასწავლებელია, სადაც პროფესორები თავიანთ მოწაფეებს უკითხვენ ლექციას და ასმენენ ისტორიას და მისს ლიანდაგსა.

მუზეუმის დანიშნულება ის არის, რომ თვალით დაანახვოს წინაპართა ნამოქმედი, მოსაზრეობა, ხელოვნება და ჭკუისა და გონების ნაწარმოების ნაყოფი. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან ჩვენი დაწინა-

---

რომ თავზედ დაეცეს ამოდენა „ცის ნატეხი“.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება),

## ღამის სურათები.

თებერვალია. საშინელი ქარიშხალი მთელი თვისის ძლიერებით ებრძვის ბნელით მოცულს ბუნებას. ქარი რაღაც საზარელის ხმით ზუის, თითქოს მიექანება მთა-ტყეებისაკენ, რომ ამცნოს მათ ქვეყნიერების სიბილწე, უწმინდურება, თვით ბუნების ძლიერმა სტიქიონმავე ღამის ალგავოს ბუნებისავე მშვენიერება, რათა ადამიანის ტალახიანმა ხელმა მისს ლამაზს სახეს ჩირქი არ მოსცხოს, არ დასვაროს. ხე-მცენარეები დიდის მოწიწებით თავს იხრიან ბატონის წინაშე, მდინარეები, ბატონობას შეუჩვეულნი, პირზე ქაფ მომდგარნი მიბურდღულობენ, შეუბრალებლად აჯახებენ ტალღებს ერთმანეთს, რომელნიც ძლიერად ნაპირებს ეხლებიან და კვალად შეშინებულნი ისევ მდინარეს უერთდებიან. გაისმის აქა-იქ მგლებ-ტურების ზმუილ-კივილი, რომელიც საოცარ ქარის სტვენასთან ერთად, რაღაც საშინელ ხმას მიემზგავსება. არსად სინათლე არა სჩანს. სტიქიონის წინააღმდეგ უძლური ადამიანი თავისს სოროში დამალულა. გოგია ლარიბაძის ქოხი სულ მარჯვენით იზნიქება, თითქოს ადრევე დაწოლას აპირებს, რომ სიკვდილს უკვე მომზადებული დაჰხვდეს. შიგ კი სულთმობრძავი სნეული ირინე მწარე კვნესით ბანს აძლევს გარეთ ბუნების ხმაურობას.

— მცი...ვა გო...გი...ა, კნავის კანტი-კუნტად საბრალო ირინე, რომელსაც მკერდზე მაგრად მიეკონა სიცივით აცახცახებული ოთხი წლის ვაჟი ვანო და ნიშნად იმისა, რომ ჯერ კიდევ მოძრაობაც შემიძლია, თუ გავთბიო, უაზროდ აფათურებდა გამხმარს, ლურჯი კანით გადაკრულს თითებს.

— ვაი, შენს უბედურს დღეს დაბადებულს ქმარს, რომ აღარც შეშა მომეძევება, ათრთოლებულის ხმით წამოიძახა გოგიამ და ძველი დაფლეთილი ტომარა წააფარა ავადმყოფს.

— ნუ გეშინია, ირინე, ღმერთი მოწყალეა, სასიკვდილო რა გიჭირს, ადამიანო, ხვალ... აქ კი ცრემლებმა სიტყვა გააწყვეტინეს, გამაგრებულს გული აუჩვილდა და ჩუმად წაილაპარაკა თავისთვის: „მეტი ჩემი მტერი არ იყოს, ეს საამქვეყნო აღარ იყოს“. მერე ახალუხის სახელოთი ცრემლები მოიწმინდა, წამოდგა ზეზე, თუმცა რისთვის, თითონაც არ იცოდა, მაგრამ ამ დროს ირინეს ხელის შეხებამ და სიტყვამ:

— მცი...ი...ვა! გოგია საოცრად ააჟრჟოლა, უნებურად მუხლი იქვე ჩაეკეცა და პასუხად ქვითინი დაიწყო.

პირ დაღებულ კარებში ქარმა ერთი საშინლად შემოსტვინა, დატრიალდა ქოხში მეოჯახე პატარძალივით, ჰრაქს უკანასკნელი ბეუტვაცკი მოუსპო, მხოლოდ სამაგიეროდ შუა ცეცხლიდამ ნაცარი მიმოფანტა, ავადმყოფს თავზე გადააყარა, იქიდამ სამი-ოთხი თითქმის დანახშირებული ნაკვერჩხლები გამოაჩინა, თითქოს დაცინვით ეუბნებოდა მათ: „თქვენისთანაებს ესეც გაგინათებთო. ახლა-კი გამწარებული წამოვარდა გოგია; გადადგა ერთი ნაბიჯი წინ, კვლავ შეჩერდა, შემდეგ უცბად შემოტრიალდა და კარისაკენ გაეშურა.

— რაც უნდა გახდეს ერთ ღერს შეშას მაინც ვიშოვი, სიცივით მოვიკვდა ცოლიო, ამ სიტყვებით გარეთ გასულმა კარი მიუგდო და გასწია.

—

შანშე მაღალაძის „ოდა“ ამაყად შესცქეროდა სტიქიონის მრისხანებას; მას ვერ აშინებდა მისი ძლიერება. შიგ მოსამსახურეებიც თამამად მიდიმოდიოდნენ, სუფრას ალაგებდნენ «ბატონებს» ის იყო ვახშამი გაეთავებიათ და ტკბილ განსვენებას ეპირებოდნენ.

— ელისაბედ დავწვეთ აწი; ჰხედავ პირველი საათია, (დარბაზში კედლის საათი ეკიდა) ხვალ ადრე უნდა ადგე; სტუმრებს მოველით, მომზადება უნდა, გასძახა შანშემ თავისს მეუღლეს, რომელიც მეორე ოთახში „გოგოებს“ ელაპარაკებოდა.

არ გაუვლია სულ ნახევარ საათს, რომ მოსიყვარულე ცოლ-ქმარი უკვე პირველ ძილს შეპყრო და ისიც იყო ,,საამო“ ხვრინვაც გაისმოდა; რომ უცბად გოგოს, რომელსაც ბატონის ფეხის ფხანაში თითქმის ჩასძინებოდა, ძაღლის ყეფა შემოესმა.

— ბატონო, ბატონო, სწორედ ვილაცაა; გესმისთ ჩვენი მურა როგორ საშინლად ჰყეფს?

— ა! რა იყო? წამოიძახა უცბად შემკრთალმა შანშემ და ლოგინიდამ წამოიწია.

— სწორედ ვილაცააო, სთქვა მანაც და წამოდგა, კალოშებში ფეხები ჩადგა, მეორე ოთახში გავიდა და ბიჭს დაუძახა.

— ივანე, ივანე, ადე ბიჭო, არ გესმის, შე წუწკო, რა ძაღლის ყეფაა!

— ა, რა იყო, ვინ ხარ?

— ვინ ვარ და შენი ბიძაშვილი, მამაძ.... ადე რო გეუბნები!

— ა... ვინ ხარ? ეკითხებოდა მეორედ ძილით გაბრუებული ბიჭი.

— უყურე ამ ტუტუცს, ამას! ამ სიტყვებს ორი „ლაზათიანი“ წიხლიც დააყოლა და ივანე სწრაფად წამოვარდა.

— ბატონო, უკაცრავად!

— უკაცრავად! გასწი, ძაღლი ჰყეფს, თოფი გაიტანე! იცოდე არ დაარიდო, თუ ქურდია, უთუოდ ესროლე.

— აბა ჰე, შენ იცი და შენმა ბიჭობამ, მიაძახა შანშემ ივანეს, როდესაც უკანასკნელმა კედლიდამ თოფი ჩამოიღო და დაბლა ჩაირბინა.

სახლში საოცარი სიჩუმე სუფევდა ყველანი დარბაზში იდგნენ და კარებისკენ იცქირებოდნენ. რაღასაც ელოდნენ..... თოფი გავარდა! ყველანი გარედ გაცვივდნენ. მიიჭრნენ იქ, სადაც ივანე ხმამაღლა ყვიროდა, მოვკალი, მოვკალი მე უბედურმა; ეს გოგია ლარიბაძე ყოფილაო. მართლაც საბრალო გოგია მკერდში ტყვიით შეშებთან გაშხლართულიყო. გვერდით ერთი ღერი შეშა ეგდო, საშინლად ფართხალობდა და მწარედ ღნავოდა: მომკალით, თქვე ოხრებო, მომკალით ერთი ღე... რის... თვის...

—

რას შვრებოდნენ ამ დროს ირინე და ვანო? როდესაც გოგია ქოხიდამ გამოვიდა, შიგ გრიგალმა ძლიერად დაჰბერა და ერთი მცირე ნაკვერჩხალი ავადმყოფის ლოგინზედ დააგდო. იგი დაუყოვნებლივ ალად იქცა დაფლეთილი ბამბის საბნის შემწეობით, მოედვა დედა-შვილს მთელს ტანზედ და ქოხიანად იმსხვერპლა, ფერფლად აქცია და აღელვებულ ქარი-შხალს შეუერთა...

განთიადმა ჰკრა კამარას და ბუნებასაც ცოტა დაწყნარება დაეტყო.

ა. წულუკიძე.

ურებულნი პირნი დაიწყებდნენ ამ ფრიად საჭირო და საშვილიშვილო საქმეზე ზრუნვასა და აი, სწორედ ამის გამო, ამ ოცის წლის წინად შევუდექი ძველის შესანიშნავის სამუზეუმო ნივთების მოკრებასა და მოპოებასა. ამ ნივთების შეძენაში რამდენი შრომა, გაჭირვება და მწუხარება გამოვიარე, აქ საჭიროდ არა ვრაცხ მოვიხსენო. მე მხოლოდ იმას ვაუწყებ ჩემთა მოძმეთ და მემამულეთ, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო ჩემი დიდი ხნის განზრახვა. მე ვიმოგზაურე იმ უცხო ქვეყნებში, რომელნიც გარს არტყიან ჩვენს სამშობლოს და ხშირად ესხმოდნენ ხოლმე თავსა და გაჰქონდათ მრავალი ნივთები და ოჯახის მოწყობილება. ამ ჩვენის ოდესმე დაუძინებელის მტრებისაგან შევიძინე ხუთასამდე ნივთი და ჩამოვიტანე ჩვენს დედა-ქალაქში იმ განზრახვით, რომ გადამეცა ჩვენის ერისათვის, დასაარსებლად ქართული ეროვნული მუზეუმისა და ისევ წავსულიყავ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში ძველის ნივთების მოსაპოვებლად.

აი ექვსი წელიწადი სრულდება, რაც ჩამოვიტანე ეს ნივთები და, ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდლამდე ვერ ვპოვე ვერც ერთი დაწესებულება ჩვენში, რომ შეეძლოს და შეინახოს, თუნდ დროებით დაქირავებულს სახლში, და მოუყაროს თავი ამ შესანიშნავს და იშვიათ ნივთებს. ხოლო მე მომცეს შემთხვევა, რომ განვაგრძო ჩემი გულითადი წადილი და კიდევ შევუდგე ნივთების მოპოვებასა იმავე განზრახვით.

ოცი წელიწადი ვფიქრობდი, ვზრუნავდი, ვმეცადინეობდი, შევყარე ხუთასამდე ნივთი და დღეს ამის დარაჯად გადავიქეცი!

აგერ ასი წელიწადი სრულდება, რაც ჩვენში მშვიდობიანობაა; მაგრამ ამ ასის წლის განმავლობაში ასი დღიური მიწაც ვერ შევიძინეთ! შეძენას თქვენი ჭირი წაუღია. პირ-იქით ათასობით და ათი-ათასობით-კი დავკარგეთ. გაიძახიან, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარიაო, მეც ამას ვიტყვი მდიდარია, სავსეა ყველანაირ მადნეულობითა, მოსავლითა და ბუნების მშვენიერებითა, მაგრამ ყოველი ესე, საუბედუროდ, ლამის ხელიდამ გამოგვეცალოს ჩვენის დაუდევრობისა და უყურადღებობის გამო.

ამ ასის წლის წინად ჩვენი ქვეყანა მთელ დედა მიწის ზურგზედ, ქვეყნიერების მუზეუმს წარმოადგენდა. ჩვენ-კი თითქმის არაფრად მიგვაჩნდა და აი ამიტომ კარგად გამოიყენეს გარეშეებმა ეს ასის წლის მშვიდობიანობა. იგინი მოდიოდნენ ჩვენში და სადაც-კი ძვირფასი რამ მოიპოვებოდა ჩვენთა წინაპართა ნალვაწი, კრეფდნენ და გაჰქონდათ. მაგრამ ამას არ სჯერდებოდნენ—დაგვყავდა ყოველგან, ვუთხრიდით ჩვენთა წინაპართა საფლავებსა, რომელნიც რამდენიმე ასი და ათასი წელიწადი დაცული იყვნენ ერის თაყვანის საცემათ, რომელთაც სიცოცხლითავ დაიდგეს ღირსეული ძეგლი და, რომელთაც თავი შესწირეს ჩვენს ეროვნებასა.

აი, ამ ჩვენ დიდებულთა საფლავებს ჩვენვე ვუთხრიდით, რომლებშიაც ხშირად პოულობდნენ შესანიშნავს და სამაგალითო ნივთებსა, ქვისასა, სპილენძისასა, ოქროსასა, ვერცხლისასა, რომელნიც ხელოვნურის მოყვანილობით საგანგებო განძი იყვნენ. გაიტანეს ყველა ესენი გარეშეებმა ჩვენი ქვეყნიდამ თავიანთ საერო მუზეუმებისათვის და დაეკარგა სამუდამოდ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს საერო სახლს ის განძი, რომელიც შეადგენდა ჩვენი ერის სიმდიდრესა, სიამაყესა და თავ მოყვარეობასა.

აღმოსავლეთის ერთს ქვეყანაში კერძო საოჯახო მუზეუმი ვნახე, რომელიც დაფასებულია ორ მილიონად. ეს მუზეუმი, თუ სულ არა, ნახევარზედ მეტი მაინც ჩვენის ქვეყნიდამ გატანილი ნივთებისაგან არის შემდგარი. ამისი საბუთები მაქვს.

ახლა ვიკითხოთ: ნუ-თუ ესეთი დიდი ცოდვა ჩაიდინა ამ მშვიდობიანობის დროს ჩვენმა თაობამ და დაუკარგა ქვეყანას ის, რითაც ერს უნდა შეესწავლა თავისი წარსულის დიდება, ხელოვნება, ქანდაკება და ათას გვარი ნიჭის ნაყოფი?!

იქნება სთქვან: ჩვენმა განათლებულმა თაობამ არ იცის მუზეუმი რა არისო?—ეს შეუძლებელია

ნუ-თუ ეს მოსწავლე ახალგაზდობა, რომელიც ასობით სწავლობს სატახტო ქალაქების უმაღლესს სასწავლებელში, არა ჰხედავდა იქაურს მუზეუმებს, რომლებზედაც მილლიონებია დახარჯული და ისე უყურებს მართებლობა, როგორც უმაღლესს სასწავლებელს და ყველასათვის კარლია არის. ჩვენში ყოველ წელს მატულობს განათლებულთა და განვითარებულთა გუნდი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არა-თუ არ არის შემდგარი მათგან, არამც თუ არხეოლოგიური, ეტნოგრაფიული და სხ. საზოგადოებები, არამედ მოყვარულნიც-კი არ არიან ასეთი რამეებისა.

დიდად სასურველია, რომ ამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევში მაინც მოიფიქროს ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ, რომ საერო სახლის, მუზეუმის აგება საჭირო არის და მით გაუჩინონ ბინა მას, რაც კიდევ დარჩენილა ჩვენს ქვეყანაში ძველი ნივთნი და ნაშთნი და ყველა ერთად მოაწყოს ჩვენ წინაპართა სასახელოდ და სადიდებლად.

ალექსანდრე როინაშვილი.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ჩვენს გუშინდელს გაზეთში მოვიყვანეთ ზოგიერთი ცნობა იაპონიის შესახებ და დასასრულ ვთქვით, რომ თუმცა ეს ქვეყანა ევროპიულ ცივილიზაციის გზაზე მიდის და დიდს წარმატებაშიაც არის, მაგრამ არ ითქმის, რომ ყველგან და ყველაფერში ეს ახალი ცივილიზაცია შინ შესული იყოს და ფეხმოკიდებული. არც საკვირველია. ოცი და ოც-და-ათი წელიწადი ერის ცხოვრებაში მეტად მოკლე ხანია და ძნელად საფიქრებელია, რომ ამ მოკლე ხანში ერმა თავიდამ ბოლომდე ყველაფერი ახალი შეითვისოს და ძველს ზნე-ჩვეულებაზედ ხელი აიღოს.

ერთი ამისთანა ძველი ნაშთი იაპონიაში უნახავს ბ-ნს შრეიდერს და როგორც ევროპიელს გაჰკვირვებია. ეს ის არის, რომ ადამიანი იქ ცხენის მაგიერობას ეწევა. იქ არის თურმე ერთნაირი წოდება ხალხისა, რომელსაც „ჯინერიკში", ხან „ქურუმი" ჰქვიან; ამ წოდების კაცის ხელობა ის არის, რომ პატარა რესორიან ეტლში შებმულია და იაპონიის ქალაქების სწორე და დავაკებულ ქუჩებში დაარბენინებს ისეთის სისწრაფით, რომ საათში ათს-თორმეტს ვერსტს აკეთებს. იაპონიაში ცხენი თურმე სულ არ არის და ცხენის მაგიერობას ეს „ქურუმნი" ეწევიან. ბ-ნი შრეიდერი ამბობს, თუ თვალს შეაჩვევთ, აქაც შეატყობთ, როგორც ცხენს, რომელი ჯაგლაგია რომელი იორღაა, რომელი კარგი მარბენალიაო; ზოგი ჭენებით მიაქანებს ეტლსა, ზოგი ნელის ჩორთითა, ზოგი გამაღლებულის იორღითაო. თუმცა ასეთი ცხენოსნობა მეტად უცნაური რამ არის და ადამიანის ღირსების შეუფერებელი, მაგრამ არამც თუ მარტო იაპონელები, თვით ევროპიელნი და უცხოელნი დაიარებიან ამ ნაირად მოწყობილ ეტლებითაო, მით უფრო, რომ ესეთი სიარული ძალიან იეფიაო: თორმეტს ვერსტზე „ქურუმი" სჯერდება სამ აბაზს, სამ აბაზს და ერთს შაურსა. ბ-ნი შრეიდერი არა ნაკლებ გაუკვირვებია იმ ჩვეულებასაც, რომ ყოველს სახლში დიდი საბანოე ტაშტებია, ამაებში ყოველ ცისამარა დღეს ტანს იბანვენ ერთად ქალნი და კაცნი ერთმანეთის მოურიდებლად. თვითონ ბ-ნ შრეიდერს შეჰშინებია ვაი, თუ სახლის პატრონმა მიწყინოსო და იძულებულ გამხდარა ებანა მთელის ოჯახის თვალ-წინა.

ზნე-ჩვეულება, ერთმანეთ შორის მართებულად ქცევა იაპონელებს თავისებური აქვთ თურმე და სრულად არაფერში არა ჰგავს ევროპიულსა. იქ, მაგალითებრ, არავის არ ეთაკილება თან წაიღოს შინ სადილიდამ საჭმელ-სასმელი, რაც მოეწონება და რასაც სადილზე ვერ მოერევა. სირცხვილად და უმართებულოდ არ მიაჩნიათ დედი-შობილად ტიტველად სიარული ქუჩებში. წვიმა ყოველ შემთხვევაში კანონიერი საბუთია კაცმა ტანთ-გაიძროს და ტიტველა იაროს. ბ-ნი შრეიდერი ერთს ამის მაგალითს მოგვითხრობს ასე: „მე ბაზრიდამ შინ მოვდიოდი, უეცრად წამოასხა წვიმამ. რაკი გული დააჯერეს, რომ წვიმა კარგა ხანს არ გადავა, იაპონელებმა მაშინვე გაიძრეს ტანისამოსი, თითქო ბანებას აპირებენო. კარგად შეახვიეს ტანსაცმელი, იმოიჩარეს იღლიას ქვეშ და მთლად ტიტველ-შიშველთ გასწიეს თავისს გზაზედა წვიმის ქვეშაო." ბ-ნი შრეიდერი ბევრს ამისთანას, ჩვენთვის საოცარს ამბებს მოგვითხრობს იაპონელ ზნე-ჩვეულებისას. ვგონებთ რაც ამოვწერეთ საკმაო იყოს კაცმა თავისს თავს ჰკითხოს. იმ ევროპიულ ცივილიზაციის გვერდით, რომელსაც ასეთის ბეჯითობით და სულთა სწრაფვით ეტანებიან იაპონელები და ასეთის გამარჯვებით ითვისებენ, როგორღა ხძლებს იმისთანა უცნაური ზნე-ჩვეულება, რომელიც ჩვენ ამოვწერეთ?

ეხლა ხან მოუგონიათ ერთგვარი გზა, რომელიც ეხლანდელ რკინის გზას უქადის დაფოლებას. ამერიკაში ჩიზაპიკის სრუტისა და ვაშინგტონის შუა გზა გაუკეთებიათ ერთ-რელსიანი. სისწრაფე ამ გზისა თითქმის დაუჯერებელია: საათში ორას ვერსტამდე გაივლისო. ვაგონები მარტო ცალს თვალზე ჰდგას და ცალს რელსზე დადის, ელექტრონის ძალით მოძრაობს; ეს ვაგონები, ეს ისეც თურმე გაკეთებული და მოწყობილი, რომ არავითარი შიშია ვაგონების წაქცევისა, ან აქეთ-იქით ტოკვისა და გადახრისა. რელსი თითქმის ერთს არშინზე მაღლაა დედამიწიდამ და ამ სიმაღლეზე დადის თურმე ვაგონები, რომელთაც აქეთ-იქით იმისთანა ფრთები აქვთ მიკეთებული, რომ ვაგონი ვერც გადიქცევა, ვერც იტოკებს. (ნ. ვ.)

## თეატრის მატიანე.

—

ოთხშაბათს, 15 გიორგობისთვეს, სოხუმის ქართულ დრამატიულ სცენის მოყვარეთაგან საქალაქო კლუბის დარბაზში წარმოდგენილ იქმნა ორმოქმედებიანი ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ", რ. ერისთავისა და ერთ-მოქმ. ვოდ. „წუთის საცოლე" კ. ნასიძისა. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი დ. ლოლობერიძისა, ო. მარგველაშვილისა და მ. თურქიასი; თავადნი კ. აბაშიძე და ი. მიქაძე, ბ-ნნი, ა. ჯუღელი, ს. ფრანგულიანცი, მ. გვაზავა, ი. ბუკია და სხვანი. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა და გათავდა დივერტისმენტით — ქართული ლექსების კითხვით. საზოგადოებაც ბლომად დაესწრო და დიდად კმაყოფილი დარჩა. მოთამაშეებმა ყველამ მშვენივრად შეასრულეს თავიანთი როლები, მაგრამ მეტად საუცხოვოდ და ხელოვნურად შეასრულა «ოსეფას» როლი ბ-ნმა ს. ფრანგულიანცმა, რომელიც ყოველთვის თანაუგრძნობს ქართულს თეატრს და არავითარს ღონისძიებას და შრომას არ ჰზოგავს ამ საქმისათვის. აგრეთვე დიდი მადლობა უნდა ვუძღვნათ ქნ. გაიანე შარვაშიძისას, რომელიც მოთავე და განკარგულების მიმცემი იყო ამ საქმისა და საზოგადოდ დიდს შემწეობასა და თანაგრძნობას უჩენს ქართულს თეატრს. ამ სეზონში ეს პირველი წარმოდგენის შემოსავალი დანიშნულია სოხუმის სამრევლო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. ჩვენი ქართული სცენის მოყვარენი კვლავაც აპირებენ წარმოდგენების მართვას საქველმოქმედო აზრით, მაგალითად სოხუმის სამკითხველოს სასარგებლოდ, წყლით დაზარალებულთა, საქალებო პროგიმნაზიისათვის და სხვა-და-სხვა, რაც ძლიერ სასიამოვნოა. ამათ აქვთ შედგენილი სიასცენის მოყვარეთა და გეგმა მოქმედებისა, რაც მოწონებულია და ნება დართული სოხუმის ოლქის უფროსის ბ-ნ ბრაკერისაგან. სოხუმის ქართველი საზოგადოებაც თანაგრძნობით ეგებება ქართულს თეატრს და ხან-და ხან ტევაც-კი არ არის ხოლმე კლუბის დარბაზში. ერთი სიტყვით, არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქვთ აქაურ სცენის მოყვარეთ წარმოდგენების განსაგრძობად.

მხოლოდ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი ცოტად თუ ბევრად სამწუხარო ამბავი: ამ პატიოსან მოღვაწეთა, ქართულ სცენის მოყვარეთა შორის, რაღაც მანქანების ძალით, ფეხს იკიდებს ძველთაგანვე გადმონაცემი, ცოდვისაგან დაყოლილი „ურთიერთთ შორის უთანხმოება". ვისურვოთ, რომ ეს «უთანხმოება» კავშირით შეკრულს «ძმობა-ერთობაზე» შეცვლილიყოს და მაშინ ამათი უანგარო შრომა თავისს დანიშნულებას ადვილად მიაღწევს.

ი. ბ.

1895, 17 ნოემბერს.

## შემოწირულება.

—

ჩვენ მივიღეთ მ. ანტონ იაკობაშვილის მიერ შეკრებილი 10 მანეთი ფული დ. ოცხევს შოთა რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ. მოგვყავს აქავე შემომწირველთა სია.

თითო მანეთი: იაკობ გურგენოვმა, მამა ანტონ იაკობაშვილმა, იოსებ გოკიელმა, ხრისტო მავროპულომ, იოსებ კოსტანმა, გრიგოლ ფირალოვმა, სტეფანე ვარძელოვმა, ნიკო საბაევმა, პეტროს ირინბეკიანმა და სარქის ცაქანიანმა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 ნოემბერი.

ლონდონი. „დეილი ნიუზს"-ს ატყობინებენ, რომ მეორე სტაციონერთა საქმე ისეთ საქმეთ ითვლება, რომელზედაც სახელმწიფოებს შეუძლიანთ გამოსცადონ თვისი გავლენა. სახელმწიფონი ერთ-პირად მოქმედებენ და საქმეს ბოლომდე მიიყვანებენ. სულთანს შეატყობინეს კერძოთ, რომ იქნება დარდანელში ძალ-დატანებითი გავიაროთო.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ნოემბერი.

| | მყიდვე ლისა. | გამყიდველისა. | გაყიდვისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,40 | — " |
| 5°/₀ მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — " | — " | 210 |
| 4¹/₂°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 100 | — " | — " |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — " | — " | — " |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. . | — " | — " | — " |
| 6°/₀ ტფილისის სათათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — " | — " | — " |
| 5°/₀ იმავე ბანკისა . | — " | — " | — " |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — " | 98 | — " |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხორიკან შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. ჯარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—54).


Дозволено цензурою, Тифлисъ 25 го Ноября 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.